განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2019 წლის ბიუჯეტი და 2019-2022 წლების ფისკალური ჩარჩო მომზადდა გასული წლის ნოემბერში. პროექტის ძირითადი პარამეტრების შემუშავებისას გათვალისწინებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის (EFF-გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი) ძირითადი პრინციპები. წარმოდგენილი პროექტის შესაბამისი საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო კვლავაც გულისხმობს მიმდინარე ხარჯების ზრდის შეზღუდვას და საბიუჯეტო დეფიციტის ეტაპობრივ შემცირებას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით ხორციელდება ფისკალურ ჩარჩოში განათლების რეფორმის ხარჯების ასახვა. პროექტი კვლავაც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსის მიმართვას ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ აქტიურად გრძელდება სატრანზიტო და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მოზიდული რესურსებით განსახორციელებელი პროექტები, თუმცა პროექტების მასშტაბურობიდან (მათ შორის აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რიკოთის მონაკვეთი) გამომდინარე, ათვისების და განხორციელების ეტაპები საჭიროებს კორექტირებას და ნაწილობრივ გადავადებას საშუალოვადიანი პერიოდისათვის. საინვესტიციო პროექტების დონორული დაფინანსების შემცირების მიუხედავად, საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად ხორციელდება, მათ შორის მაღალი ათვისების ტენდენციით გამოირჩევა მუნიციპალური პროექტები.

2019 წლის ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ეკონომიკის რეალური ზრდის 4.5%-იან მაჩვენებელზე, 7 თვის წინასწარი მაჩვენებლების მიხედვით რეალური ეკონომიკური ზრდა შეადგენს 4.9%-ს, თუმცა წარმოდგენილი პროექტით ეკონომიკური ზრდის პროგნოზი კვლავაც ნარჩუნდება 4.5%-ის ფარგლებში. მშპ-ს დეფლატორის მაჩვენებელი განსაზღვრულია 4.5%-ის ოდენობით. გასული წლის ნოემბერთან შედარებით დაზუსტდა 2018 წლის ეკონომიკური ზრდა ნომინალურ გამოხატულებაში, რისი გათვალისწინებითაც 2019 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის განახლებული პროგნოზით 44.9 მლრდ ლარს შეადგენს.

საგადასახადო შემოსავლების შესრულება სახეების მიხედვით განსხვავდება გასული წლის ნოემბერში შემუშავებული საპროგნოზო მაჩვენებლებისაგან (შემოსავლები აქციზიდან შემცირებულია თამბაქოს მოხმარების სტრუქტურის ცვლილებიდან და შესაბამისად თუთუნის მოხმარებაზე გადასვლიდან გამომდინარე), თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ჯამურად კვლავ 9 645.0 მლნ ლარით განისაზღვრება, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 30 მლნ ლარით და შეადგენს 11 310 მლნ ლარს.

2019 წლისათვის დამატებითი რესურსის მობილიზება ასევე ხორციელდება სახელმწიფო ფასიანი ქაღლდების გამოშვებით მიღებული შემოსულობების ხარჯზე. 2019 წელს ჯამურად მოხდება 900 მლნ ლარის ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ნაცვლად თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული 400.0

მლნ ლარისა) ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდა დაკავშირებულია, როგორც ბაზრის განვითარების ღონისძიებებთან, კერძოდ, გასულ წელს განხორციელდა ე.წ. ბენჩმარკ ბონდების გამოშვება, რომლის დაფარვაც უნდა განხორციელდეს 2020 წლის იანვარში და შესაბამისად მიმდინარე წლის ბოლომდე საჭიროა რესურსების მობილიზება, ასევე, მუნიციპალიტეტებში დაწყებული კაპიტალური პროექტების დამატებითი დაფინანსებისათვის საჭიროა რესურსების მობილიზება.

მობილიზებული რესურსის ნაწილი მიიმართება განათლების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დასაფინანსებლად, კერძოდ ასაკით პენსიონერი პრაქტიკოსი იმ მასწავლებლების ჯილდოების გასაცემად, რომლებიც ტოვებენ განათლების სისტემას, ასევე რესურსები გათვალისწინებულია მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ზრდისთვის.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 2019 წელს დაიწყო მასშტაბური საგზაო პროექტები, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალის რიკოთის მონაკვეთი და ჩრდილოეთი-სამხრეთი მაგისტრალის ურთულესი მონაკვეთი (ქვეშეთი-კობი). აღნიშნული პროექტები გამოირჩევა კომპლექსურობით და წინა მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივი და რთული ეტაპებით. კომპლექსურობის გათვალისწინებით, რიკოთის მონაკვეთის ზოგიერთ კომპონენტზე პროექტის დონორული დაფინანსების ათვისებამ ნაწილობრივ გადაინაცვლა შემდეგ წლებში, თუმცა დონორული დაფინანსების ათვისების პროგნოზის შემცირების მიუხედავად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ასათვისებელი ბიუჯეტი ჯამურად იგივე რჩება და ხდება საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში დასაფინასნებელი იმ პროექტების აქსელერაცია, რომლებიც გათვალისწინებული იყო საშუალოვადიან ჩარჩოში.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მიმდინარე წელს ასევე დაიწყო რამდენიმე ახალი მუნიციპალური პროგრამის განხორციელება (ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის ამბულატორიების მშენებელობა (23 მლნ ლარი) და სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამისათვის (17 მლნ ლარი) გამოიყო შესაბამისი რესურსები), ხოლო სოფლის ხელშეწყობის პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხები თავდაპირველი 20 მლნ ლარის ნაცვლად გაიზარდა 40 მლნ ლარამდე. აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება მუნიციპალიტეტების მიერ, მათ შორის დამატებითი რესურსის გამოყოფა ხორციელდება ქ. თბილისში დაგეგმილი პროექტების განსახორციელებლად. ასევე გასათვალისწინებელია, რომ დეცენტრალიზაციის ფარგლებში მიმდინარე წელს განხორციელდა რესურსების მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა სკოლების რეაბილიტაციის და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ფუნქციების ნაწილობრივი განხორციელებისათვის.

2019 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი დეფიციტი (საერთაშორისო სავალუტო ფონდთან არსებული პროგრამის მეთოდოლოგიით) ნარჩუნდება მშპ-ის 2.6%-ის ფარგლებში, ხოლო „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული დეფიციტი განისაზღვრება მშპ-ის 2.7%-ით (ზღვარი 3%) .

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების)) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით, შესაბამისად „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

რეალური ეკონომიკური ზრდა - 4.5%;

მშპ-ს დეფლატორი - 4.5%;

ინფლაცია (პერიოდის საშუალო) - 4.0%

ნომინალური მშპ - 44 857,6 მლნ ლარი;

კანონპროექტი შესაბამისობაშია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ზღვრულ პარამეტრებთან:

- 2019 წელს საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განისაზღვრება 1 196.7 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მშპ-ის 2.7% შეადგენს (დადგენილი ზღვარი მშპ-ის 3%);
- მთავრობის ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში - 44.3% (ზღვრული მაჩვენებელი - 60%).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** საპროგნოზო მაჩვენებელი 12 956.5 მლნ ლარით განისაზღვრა (2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაჩვენებელს 92.8 მლნ ლარით აღემატება) მათ შორის:

- **შემოსავლები - 10 540.4 მლნ ლარი (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 52.7 მლნ ლარით);**
  - საგადასახადო შემოსავლები - დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში არ იცვლება და კვლავაც განისაზღვრება 9 645.0 მლნ ლარით, თუმცა მნიშვნელოვნად დაკორექტირდა მისი კომპოზიცია:
    - **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 3 150.0 მლნ ლარით (მცირდება 16 მლნ ლარით). საშემოსავლო გადასახადის პროგნოზის შემცირება ძირითადად უკავშირდება დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებას და სისტემაში პროგნოზირებულზე მეტი ადამიანის დარჩენას;
    - **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 855.0 მლნ ლარით, რაც 74 მლნ ლარით აღემატება დამტკიცებულ მაჩვენებელს. გადასახადის ამ სახეში დამატებითი მიღებული შემოსავლები გამოწვეულია გადამხდელთა მიერ მოგების პროგნოზირებულზე მაღალი განაწილებით.
    - **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 071.0 მლნ ლარით, რაც 35 მლნ ლარით აღემატება 2019 წლის

პირველად გეგმას. გადასახადის ამ სახეში მიღებული შემოსავლების დინამიკა ძირითადად გამოწვეული საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესებით. *ამასთან, ნაერთი ბიუჯეტში დღგ გადასახადი იზრდება 43 მლნ ლარით და შესაბამისი 19% მიიმართება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში;*

- **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 287.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 175.0 მლნ ლარით ნაკლებია 2019 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით. გადასახადის ამ სახეში დანაკლისი გამოიწვია 2019 წლის მანძილზე თამბაქოს მოხმარების სტრუქტურის მნიშვნელოვანმა ცვლილებამ და შესაბამისად თუთუნის მოხმარების (რომლის დაბეგვრა პრაქტიკაში მინიმალური განაკვეთით ხდება) მნიშვნელოვანმა ზრდამ;
- **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 75.0 მლნ ლარით, რაც 8 მლნ ლარით ნაკლებია თავდაპირველ გეგმასთან შედარებით. განახლებული გეგმა ასახავს იმპორტის არსებულ ტენდენციებს, რაზეც მათ შორის გავლენას ახდენს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებები.
- **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 207.0 მლნ ლარით, რაც 90 მლნ ლარით აღემატება თავდაპირველ გეგმას.

- **სხვა შემოსავლების** პროგნოზი იზრდება 45 მლნ ლარით და განისაზღვრება 505.0 მლნ ლარით, ზრდა გათვალისწინებულია პროცენტის და სანქციების/ჯარიმების მუხლით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის დაგეგმილზე მაღალი დივიდენდით;

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 390.4 მლნ ლარით (იზრდება 7.7 მლნ ლარით საინვესტიციო პროექტების ნაწილში), ძირითადად ათასწლეულის გამოწვევა - საქართველოს (MCC) პროგრამის ფარგლებში, რომელიც სრულდება მიმდინარე წელს.

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა, არსებული ფაქტიური მონაცემების გათვალისწინებით იზრდება 10,0 მლნ ლარით და შეადგენს 80.0 მლნ ლარს;

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი არ იცვლება და კვლავ განისაზღვრება 120.0 მლნ ლარის ოდენობით;

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრების გეგმა გაზრდილია 30.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 2 216.1 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად მიღებული გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტები მცირდება 369.9 მლნ ლარით და განისაზღვრება 931.1 მლნ ლარით. 2018 წლის ბოლოს დაწყებული მასშტაბური საინვესტიციო პროექტების შესრულება თავისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, ნაწილობრივ გადავიდა მომდევნო წელს, რაც იწვევს ამ პროექტებზე მიბმული ასიგნებების და ამ სახით მისაღები შემოსულობების შემცირებას 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში. ამავდროულად, საინვესტიციო პროექტების მაჩვენებელი კვლავ შენარჩუნებულია წარმოდგენილ პროექტში და ხდება იმ პროექტების აქსელერაცია, რომლებიც საბიუჯეტო სახსრებით ფინანსდება.
  - საბიუჯეტო კრედიტები არ იცვლება და კვლავ განისაზღვრება 385.0 მლნ ლარით.
  - სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით და მათი დაფარვის შედეგად საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების წმინდა ზრდა იზრდება 400.0 მლნ

ლარით და შეადგენს 900.0 მლნ ლარს. 2019 წელს ჯამურად მოხდება 900 მლნ ლარის ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ნაცვლად თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული 400.0 მლნ ლარისა) ფასიანი ქაღალდების გამოშვების ზრდა დაკავშირებულია, როგორც ბაზრის განვითარების ღონისძიებებით, კერძოდ გასულ წელს ე.წ. ბენჩმარკ ბონდების გამოშვებით, რომლის დაფარვაც 2020 წლის იანვარში უნდა განხორციელდეს და საჭიროა მიმდინარე წლის ბოლომდე რესურსების მობილიზება. ასევე, დამატებითი მუნიციპალური პროექტების დაფინანსების მიზნით საჭიროა დამატებითი რესურსების მობილიზება.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები იზრდება 223.1 მლნ ლარით და განისაზღვრება 13 313,1 მლნ ლარით.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგი ცვლილებები:

- **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 131.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 639.5 მლნ ლარით, მათ შორის:**
  - **სკოლამდელი და ზოგადი განათლების** პროგრამით გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 95.0 მლნ ლარით და შეადგენს 845.5 მლნ ლარს. ზრდა გამოწვეულია განათლების რეფორმის ფარგლებში საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის კომპენსაციის სახით ერთჯერადი ჯილდოს გაცემით. 6500-მდე საპენსიო ასაკის პრაქტიკოსმა პედაგოგმა უკვე გააკეთა განაცხადი სისტემის დატოვების თაობაზე და შესაბამისად თითოეული მათგანი მიიღებს ჯილდოს მათი 2 წლის საშუალო შრომის ანაზღაურების ოდენობით.
    განათლების რეფორმის ფარგლებში ასევე გაგრძელდება ეტაპობრივად პედაგოგთა შრომის ანაზღაურების ზრდა და უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგები მიიღებენ 150 ლარით გაზრდილ დანამატს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა სტატუსის ამაღლების უფლების მოპოვების მსურველთა რაოდენობა და შემდეგ საფეხურზე გადავიდა 10 ათასამდე მასწავლებელი (ნაცვლად პროგნოზირებული 6500 მასწავლებლისა) და შესაბამისად ეს პედაგოგებიც მიიღებენ (გაზრდილ) დანამატს.

  - **კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვისა და ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 11.0 მლნ ლარით არსებული მიღწევებიდან გამომდინარე, გასაცემი ფულადი ჯილდოების დასაფინანსებლად და შეადგენს 32.2 მლნ ლარს.**

- **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება ჯამში არ შეცვლილა და განისაზღვრა 2 000.0 მლნ ლარით. საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებული ასიგნება გაიზარდა 157 425.0 ათასი ლარით, გრანტები შემცირდა 1 500.0 ათასი ლარით, ხოლო კრედიტები - შესაბამისად 155 925.0 ათასი ლარით. გასათვალისწინებელია, რომ 2019 წელს დაიწყო მასშტაბური საგზაო პროექტები, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალის რიკოთის მონაკვეთი და ჩრდილოეთი-სამხრეთი მაგისტრალის ურთულესი მონაკვეთი (ქვეშეთი-კობი). აღნიშნული პროექტები გამოირჩევა კომპლექსურობით

და წინა მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივი და რთული ეტაპებით, შესაბამისად პროექტების დონორული დაფინასების ათვისებამ ნაწილობრივ გადაინაცვლა შემდეგ წლებში, თუმცა დონორული დაფინანსების ათვისების პროგნოზის შემცირების მიუხედავად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ასათვისებელი ბიუჯეტი ჯამურად იგივე რჩება და ხდება საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში დასაფინანსებელი იმ პროექტების აქსელერაცია, რომლებიც გათვალისწინებული იყო საშუალოვადიან ჩარჩოში:

- ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის კომპონენტში, კრედიტის დაფინანსების ნაწილი მცირდება 143.9 მლნ ლარით, ხოლო საბიუჯეტო სახსრების ნაწილში იზრდება 36.7 მლნ ლარით. ცვლილების გათვალისწინებით 2019 წელს ამ მიმართულებით 707 მლნ ლარი დაიხარჯება, მათ შორის საინვესტიციო კრედიტის ფარგლებში 455 მლნ ლარი.
  როგორც უკვე აღინიშნა მიმდინარე წლის პროექტების შესრულების პროგნოზი, მათი განსაკუთრებული მასშტაბურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, საჭიროებს კორექტირებას და დაფინანსება ნაწილობრივ გადაინაცვლებს მომდევნო წლებში.
  აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის რიკოთის მონაკვეთის ოთხივე კომპონენტზე მიმდინარე წლის თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული იყო 315.9 მლნ ლარის დახარჯვა, თუმცა პროექტის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი რიგი სირთულეებიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს ათვისებული იქნება ჯამში 130.0 მლნ ლარამდე, კერძოდ:
  - **თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ხევი უბისას მონაკვეთის რეკონსტრუქცია - მშენებლობა (ADB),** კრედიტის ნაწილში მცირდება 56.0 მლნ ლარით, ხოლო საბიუჯეტო სახსრების ნაწილში მცირედი ზრდის გათვალისწინებით ჯამურად მცირდება 54.6 მლნ ლარით და მიმდინარე წელს ასათვისებელი რესურსი განისაზღვრება 25,5 მლნ ლარით, აღნიშნულ მონაკვეთზე შეფერხება ძირითადად გამოწვეულია განსახლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეებით;
  - **თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის უბისა ძირულას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB),** კრედიტის ნაწილში მცირდება 80.8 მლნ ლარით, ხოლო მასთან დაკავშირებული თანადაფინანსების შემცირების გათვალისწინებით ჯამურად მცირდება 93.6 მლნ ლარით. აღნიშნულ მონაკვეთზე 2019 წელს მიიმართება ჯამურად 26.4 მლნ ლარი. აღნიშნულ კომპონენტში შეფერხება გამოიწვია საზედამხედველო კომპანიის შერჩევის გაჭიანურებამ;
  - **თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ძირულა არგვეთას მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (JICA)** მცირდება 38.6 მლნ ლარით (სრულად კრედიტის ნაწილში) და მიმდინარე წელს ამ მიმართულებით 21,4 მლნ ლარი დაიხარჯება. აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებით განხორციელდა დონორის ცვლილება, რამაც გამოიწვია პროექტის ამ მონაკვეთზე სამუშაოების დაწყება და პროექტის განხორციელება მოხდება აზიის განვითარების ბანკის **ADB** ფინანსური რესურსით ნაცვლად იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს **JICA** დაფინანსებით;
  - **რაც შეეხება პირველ კომპონენტს - თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა (EIB, WB) -** აღნიშნული მონაკვეთის დაფინანსებისათვის კანონით განსაზღვრულია 55.6 მლნ ლარი და სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.

გზების მიმართულებით ასევე მცირდება დონორული დაფინანსება **სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის კმ48-კმ64 გრიგოლეთი-ჩოლოქის მონაკვეთის მშენებლობა (EIB)** კრედიტების ნაწილში, 22.7 მლნ ლარითდა ჯამურად მიმდინარე წელს ამ მიმართულებით 58.5 მლნ ლარი მიიმართება. შეფერხება გამოწვეულია კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

საგზაო პროექტებში გამოთავისუფლებული რესურსით იზრდება:

- **მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გზის და გვირაბის მშენებლობა (ADB) დაფინანსება 125,8 მლნ ლარით, მათ შორის კრედიტის ნაწილში 106 მლნ ლარი.** ჯამურად ამ მიმართულებით მიმდინარე წელს ათვისებული იქნება 270.7 მლნ ლარი;
- **ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის მეორე ზოლის მშენებლობა** დაფინანსება იზრდება 20,5 მლნ ლარით და ჯამურად 74.5 მლნ ლარით განისაზღვრება;
- **საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვის დაფინანსება,** რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან შიდა გზებს, იზრდება 107 მლნ ლარით და ჯამურად ამ მიმართულებით 588.2 მლნ ლარი მიიმართება.

- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში პროექტების დაფინანსება, რომელიც მოიცავს სსიპ - მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტებს, მცირდება 42.3 მლნ ლარით, მათ შორის კრედიტის ნაწილში 36.6 მლნ ლარით. ჯამურად ამ მიმართულებით 2019 წელს მიიმართება 258.2 მლნ ლარი. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია რუსთავი-თბილისის საავტომოვილო გზაზე განსახლების ღონისძიებების გაჭიანურებით;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის ფარგლებში განსაზღვრული ასიგნებები იზრდება 36.2 მლნ ლარით, მათ შორის კრედიტის ნაწილში 37.2 მლნ ლარით. ზრდა ხორციელდება ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამის (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) ფარგლებში და ჯამურად წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მიმართულებით 2019 წელს მიიმართება 262.4 მლნ ლარი.
- მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა მცირდება 20 მლნ ლარით და ჯამში ამ მიმართულებით 20 მლნ ლარამდე დაიხარჯება. პროექტების ათვისების შეფერხება გამოიწვია პროექტების ადგილმონაცვლეობის განსაზღვირს საჭიროებამ;
- 16.5 მლნ ლარით იზრდება და ჯამურად 66.5 მლნ ლარი მიიმართება **იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებზე**, გასათვალისწინებელია რომ ასევე 10 მლნ ლარით იზრდება **დევნილთა განსახლების ღონისძიებები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიც;**
- დეცენტრალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში, მიმდინარე წელს ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტისთვის რესურსების განაწილება მათ ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის. ამ მიმართულებით გათვალისწინებული ასიგნებები იზრდება 13 მლნ ლარით და ჯამურად ამ პროგრამის ფარგლებში 2019 წელს დაიხარჯება 83.0 მლნ ლარი. ***ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე ასევე 80.0 მლნ ლარია გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ასიგნებებში.***

- **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება მცირდება 116.5 მლნ ლარით (მათ შორის 89.5 მლნ ლარი დონორით დაფინანსებული გრანტის და კრედიტის ნაწილში) და განისაზღვრება 253.1 მლნ ლარით. 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა რესურსი რკინიგზის სამგზავრო გადაყვანების ტარიფის სუბსიდირების მიზნით, რომელსაც წლებია საქართველოს რკინიგზა სატვირთო გადაზიდვების ხარჯზე ასუბსიდირებს. თუმცა, აღნიშნულის განსახორციელებლად საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად ამ ეტაპზე აღნიშნული სახსრების გამოყენება ზემოაღნიშნული მიზნობრიობით ვერ განხორციელდება და შესაძლებელია 13 მლნ ლარის გამოთავისუფლება. ასევე, სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ქსელების და ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტების ათვისების ტენდენციიდან გამომდინარე, ხდება რესურსების გამოთავისუფლება. გასათვალისწინებელია, რომ ვარდნილის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისათვის საჭიროა მათი დროებით გაჩერება, რაც მიმდინარე წელს ვერ განხორციელდებოდა ენერგორესურსებზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით. ასევე ელექტროგადამცემი ქსელების ნაწილში მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები და აქტიური განხორციელების ფაზამ მომდევნო წელს გადაინაცვლა.

- **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება განისაზღვრა 340.1 მლნ ლარით, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 1.2 მლნ ლარით მეტია გრანტების ნაწილში. საბიუჯეტო სახსრებში სხვადასხვა პროგრამებში წარმოქმნილი ეკონომიების და არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა პროგრამებს შორის. მათ შორის:

  - შეღავათიანი აგროკრედიტებისთვის გათვალისწინებული ასიგნება გაიზარდა 7.8 მლნ ლარით და შეადგენს 56.8 მლნ ლარს. ზრდის აუცილებლობა გამოწვეულია კომერციული ბანკების მიერ დაფინანსებული აგრო სესხების მზარდი დინამიკით;
  - ზემოაღნიშნული პროგრამის გასაზრდელად რესურსები სამინისტროს ასიგნებების სხვა პროგრამების ხარჯზე გამოთავისუფლდა. კერძოდ:
    - ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის ღონისძიებების ფარგლებში ცანას დარიშხანის საბადოზე სარკოფაგის მოწყობის ღონისძიებებმა გადაიწია მომდევნო წელს, ვინაიდან გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად საჭიროა დამატებითი კვლევები, რაც დამატებით დროს მოითხოვს, შესაბამისად აღნიშნული ღონისძიების დაფინანსება მიმდინარე წელს მცირდება 1.7 მლნ ლარით;
    - ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მევენახეობის და ყურძნისეული პროდუქტების სამეცნიერო-კვლევითი სივრცის მშენებლობისათვის სამშენებლო სამუშაოების დასრულებამ ასევე გადაიწია მომდევნო წელს, სატენდერო პროცედურებიდან გამომდინარე და შესაბამისად ამ ღონისძიებიდან გამოთავისუფლებული რესურსი 1.1 მლნ ლარს შეადგენს;
    - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დაფინანსების ნაწილში წარმოიქმნა ეკონომია. კერძოდ 2019 წელს გაიზარდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

საშტატო რიცხოვნობა 459 ერთეულით, თუმცა დაკომპლექტება ეტაპობრივად მიმდინარეობს და წლის ბოლომდე ვერ მოხდება გამოყოფილი სახსრების სრულად ათვისება. ჯამში აღნიშნული ქვეპროგრამა შემცირდა 1.7 მლნ ლარით;

- ტყითსარგებლობის ღონისძიებებში ეკონომია 1,5 მლნ ლარის ოდენობით წარმოიქმნა სატრანსპორტო საშუალებების ნაწილში, ვინაიდან სააგენტოს მეორადი სატვირთო ავტომობილების შეძენის ნაცვლად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადასცა შესაბამისი ავტომობილები;
- სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიმდინარე წელს იგეგმებოდა ბათუმში ლაბორატორიის მშენებლობა, თუმცა ვინაიდან შერჩეული ტერიტორიით დაინტერესდა ინვესტორი, მიმდინარეობს მუშაობა ადგილმონაცვლეობის საკითხზე და მიმდინარე წელს შესაძლებელია 1.0 მლნ ლარის გამოთავისფულება.

- **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** დამტკიცებული ასიგნება იზრდება 10.0 მლნ ლარით იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად (ამ პროგრამისთვის სულ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 67.9 მლნ ლარი). სამინისტროს ასიგნება სულ შეადგენს 3 978.4 მლნ ლარს.

- **შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის** გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 25.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 766.6 მლნ ლარით. დამატებითი გამოყოფილი ასიგნებებიდან 20 მლნ ლარი მიიმართება სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, ასევე სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის.

- **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს** დამტკიცებული ასიგნება იზრდება 10.0 მლნ ლარით და შეადგენს 191.1 მლნ ლარს. თანხის გამოყოფა ხორციელდება საერთაშორისო საარბიტრაჟო დავებსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით სახელმწიფოს წარმომადგენლობის განხორციელების მიზნით, იურიდიული კომპანიებისგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, შესაბამისი საარბიტრაჟო და სასამართლო ხარჯების, მოწმეებისა და უცხოელი ექსპერტების საარბიტრაჟო და სასამართლო პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კომპლექსურ საქმეებზე დავების საწარმოებლად იურიდიული მომსახურების შესყიდვის, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქეების უცხო ქვეყანაში არამართლზომიერად გადაადგილებისა და დაკავების საქმეების უცხო ქვეყანაში წარმოებისა და ბავშვების საქართველოში დაბრუნების, საქართველოს მოქალაქეების ჰუმანიტარული საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე, აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებული სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით მათთან დაკავშირებული გადასახადების დასაფინანსებლად.
- **საგარეო საქმეთა სამინისტროს** ასიგნება იზრდება 7.0 მლნ ლარით და განისაზღვრა 143.5 მლნ ლარით. დამატებითი თანხის გამოყოფა გამოწვეულია საელჩოების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებით.
- **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს** დაფინანსება, კრედიტის ნაწილში მცირდება 40.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 835.0 მლნ ლარით, შემცირება ხორციელდება საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერების (SG) პროექტის ფარგლებში და პროექტით გათვალისწინებული მოწოდება და შესაბამისი ანაზღაურება ნაწილობრივ განხორციელდება მომდევნო წელს.

- **სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის** ასიგნება იზრდება 1.6 მლნ ლარით და შეადგენს 4.4 მლნ ლარს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, სამსახურის დაემატა მთელი რიგი ახალი ფუნქციები, მათ შორის საგამოძიებო ნაწილი. უწყების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით ხდება საჭირო რესურსების დამატება, ასევე იზრდება უწყების საშტატო რიცხოვნობა 63 ერთეულით.

- **სახელმწიფო დაცვის სამსახურის დაფინანსება** სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვის ნაწილში იზრდება 800.0 ათასი ლარით და შეადგენს 58.3 მლნ ლარს;

- **სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს** დაფინანსება გაიზარდა 4.5 მლნ ლარით და შეადგენს 8.7 მლნ ლარს. ბიუროს მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად ბიუროს მიმდინარე წელს მიეცა თანხმობა კომერციული ბანკიდან სესხის აღების თაობაზე. აღნიშნული სახსრების დამატებით ბიურო შეძლებს მის მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელებას და კომერციული ბანკის მიმართა ვალდებულებებიდან გამოსვლას.

- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის** დამტკიცებული ასიგნებები გაიზარდა 2.2 მლნ ლარით და შეადგენს 8.2 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს ადმინისტრაციის ფუნქციონირების ხარჯების დინამიკით და წლის ბოლომდე დაგეგმილი ვიზიტებითა და ღონისძიებებით.

- **ცენტრალური საარჩევნო კომისიის** დამტკიცებული ასიგნება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით არჩევნების ჩატარების ღონისძიებების დასაფინანსებლად და შეადგენს 27 687.1 ათას ლარს. ზრდა გამოწვეულია ადიგენის, ლაგოდეხის და მარტვილის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნების ჩასატარებლად საჭირო დამატებითი ხარჯების დაფინანსებით.

- **დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებისთვის** გათვალისწინებული ასიგნება იზრდება 20.0 მლნ ლარით და შეადგენს 110.0 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საპენსიო სქემაში უფრო მეტი პირი დარჩა, ვიდრე პროგნოზირებული იყო სქემის ამოქმედებამდე.

- **სსიპ - საპენსიო სააგენტოს** რიცხოვნობა იზრდება 5 ერთეულით, რაც გამოწვეული დაგროვებითი საპენსიო სქემის საინვეტიციო საბჭოს დაკომპლექტებით.

- დაზუსტდა **სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტოს** დასახელება;

- **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები** იზრდება 130.0 მლნ ლარის ოდენობით და განისაზღვრება 410.0 მლნ ლარით. დამატებითი რესურსი მიიმართება მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მიმდინარე წელს დაიწყო რამდენიმე ახალი მუნიციპალური პროგრამის განხორციელება (ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის ამბულატორიების მშენებლობა (23 მლნ ლარი) და სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამისათვის (17 მლნ ლარი) გამოიყო შესაბამისი რესურსები), ხოლო სოფლის ხელშეწყობის პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხები თავდაპირველი 20 მლნ ლარის ნაცვლად გაიზარდა 40 მლნ ლარამდე. ზემოაღნიშნულის გათვალსწინებით, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტების მიერ

პროექტების შესრულების ტენდეციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა მობილიზებული დამატებითი რესურსების მიმართვა მუნიციპალური პროექტებისათვის.

- **მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა იზრდება 100.0 მლნ ლარით და შეადგენს 172.6 მლნ ლარს.** აღნიშნული რესურსის გამოყოფა ხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის. ქ. თბილისის მიერ მიმდინარე წელს აქტიურად გრძელდებოდა ქუჩებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები. ათვისების მაღალი ტენდენციიდან გამომდინარე, ქ. თბილისს მიმდინარე წელს უფლება მიეცა კომერციული ბანკიდან 75 მლნ ლარამდე სესხის აღების თაობაზე. ქ. თბილისისათვის დამატებითი რესურსის მიწოდებით მოხდება აღნიშნული პროექტების დაფინანსება და კომერციულ ბანკთან არსებული ვალდებულებებიდან გამოსვლა.

- **საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვისთვის** გათვალისწინებული ასიგნებები მცირდება 6.0 მლნ ლარით (ეკონომია წარმოიქმნა საპროცენტო განაკვეთების შემცირებიდან გამომდინარე) და შეადგენს 318.0 მლნ ლარს.

- **საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა** იზრდება 43.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 273.0 მლნ ლარით. დამატებითი რესურსის გამოყოფის საჭიროება მათ შორის გამოწვეულია ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით.

- **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახადელების** ფარგლებში არსებული პროექტები, რომლებიც დონორების დაფინანსებით ხორციელდება, ასევე მცირდება 101.5 მლნ ლარით, მათ შორის კრედიტის ნაწილში 98.5 მლნ ლარით, ხოლო გრანტის ნაწილში 3.0 მლნ ლარით. მათ შორის ბათუმის და თბილისი ავტობუსების (ჯამში 81.5 მლნ ლარი) მოწოდება განხორციელდება მომდევნო წელს და შესაბამისად გადავადდა კრედიტის ათვისებაც.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგერეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერტაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, ასევე ცვლილებების ძირითადი არსი შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა